



საქართველო

პროფესიონალი
ბიზნესი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წწ. აღდგენილია 1989 წელს.

№35 (1473) 1 - 5 აპრილი, 1996 წელი

**პრივატიზაცია
დაკანონებული
ყარაღობაა**

➔ მე-2 გვ.

**თათო ჩემო,
ბედი არ გიწერია**



**გამოსმაურება
შ. კიტოვანის
წერილზე «მე ახსდი
შარდას ყველა
საიდუმლოს»**

**თემურ გვირგვინია:
უღანაუბლო
მამა,
უღანაუბლო
უვილი!**

**პასუხად
თენგიზ
კიტოვანს**

➔ მე-4 გვ.

**ნოდარ გრიგალაშვილი:
უფალო,
რა ცოდვა გაქვს
ისეთი,
მაინსლაგაინს
ასეთი გურალი კასი
რომ გადაგყარე?**

➔ მე-3 გვ.

**აფხაზეთის
ტრაგედია მსოფლიო
პოლიტიკის შედეგია.
სამხედრო მარცხი კი
სათავეს სწორად
გაგრიდან იღებს**

== ღვათი ხომასურიძე

➔ მე-5 გვ.

306 იყო 306?

მასალა საქართველოს ისტორიის მომავალი მხატვანული მემკვიდრეობის შესახებ

გ. მცხერელი

ზოგი მწარე და
ზოგიც
ნელ-თბილი
უპატიოსნა
ბატონ ვახტანგ
გოგუაძეს

ვახტანგ გოგუაძე:

პ რ ი ვ ა ტ ი ზ ა ც ი ა
დ ა კ ა ნ ო ნ ე ბ უ ლ ი
ყ ა რ ა ლ ო ბ ა ა

ბაზრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 26,27,28,29,30,31,32,33,34

მოდის უფრო დავაკონკრეტოთ სატანურის ცნება. სატანა რომ მოჯადოებისა და ცდუნების ხერხებს იყენებს, ყველამ კარგად ვიცით. იგი სიკეთისა და სილამაზის ფორმით გვაჩეჩებს ბოროტებას. სატანა არ იბახის, რომ იგი ბოროტია, იგი ცვლის ფორმას და შინაარსს. ე.ი. გველი უნდა დამალოს ყვავილებში. სატანა, მაცდუნებელი, მოდის ლამაზი ქალის (და არა მახინჯის) სახით. სატანა მოდის კეთილი ტერმინოლოგიით და აკეთებს ბოროტ საქმეს. აი, ასეთი სატანური გარდასახვით მოჯადოვებს ქვეყნები. თავისუფლების ნაცვლად წაიყვანეს უმძიმესი კოლონიალიზმისაკენ — ტირანიას სატანა გარდასახავს დემოკრატიის ტერმინოლოგიაში, რეფორმები (ნაცვლად სასიკეთო გარდაქმნისა) ქვეყნის ნგრევის საფარველი ტერმინია. ვინ გაბედავს თქვას, რეფორმების წინააღმდეგი ვარო. ამიტომ ამ ნიღბის ქვეშ ტარდება ანტირეფორმები, ხალხის ცხოვრების გამანადგურებელი პროცესი.

პრივატიზაცია მძარცველობის ქალაქზე გაფორმებული, დაკანონებული ყაჩაღობაა. სუვერენიტეტი, რუსეთთან კონფრონტაცია, რათა უფრო დაბალი განვითარების ქვეყნების კოლონია გახდეს — თვითლიკვიდაციის პერსპექტივაა.

ახლა როგორია ამ პოზიციის წარმომადგენლების პოზიცია, ამნაირი მხილების მიმართ. რას იტყვიან ხოლმე ისინი: ჩვენში არიან განაწყენებული ადამიანები, რომლებსაც არ შეხვდათ თანამედრობები, არ უნდათ დაინახონ ჩვენი ქვეყნის აღმავლობა, დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე. დღეს საქართველოში აღორძინდა ეკონომიკა, განმტკიცდა ლარი, მალე აღსდგება იურისდიქცია მთელ საქართველოს ტერიტორიაზე... აი, მაგ სიმართლით გიზღოთ ღმერთმა!

ბატონო რედაქტორო, თქვენს კითხვებს მოყოლებული პასუხების დროს აღიძვრება შიდა კითხვები. მე თვითონ დავუსვამ ჩემს ნათქვამს კითხვას:


— ამბობთ, რომ „ესენგე“ უკვე წასული დღეა, იგი სტე-

რილური წარმონაქმნი და უპერსპექტივო ერთიანობა იყო, აბა რას დადიოდი იმ პეტერბურგში და რას აკეთებდა თქვენი დელეგაცია?

— პეტერბურგში, საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში საქართველოს მონაწილეობამ დიდი საქმე გააკეთა, გააძლიერა საშინელი ურთიერთობები, გამოიყენა დიდი ტრიბუნა საქართველოს სასარგებლოდ. გარდა ამისა, შეადარეთ რუსეთის ხელისუფლების, პოლიტიკური წრეების აზრი — ასამბლეაში ჩვენი მუშაობის დრომდე და შემდეგ. მაგრამ დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის კონფრონტაციისთვის ის დიდი ძალები, რა თქმა უნდა, აგრძელებენ მუშაობას, ახლა ცოტა სხვა ფორმებს მიმართავენ. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემის გადაწყვეტის ნაცვლად გაგრძელდეს უნაყოფო მსჯელობები, დროის გაყვანის ტაქტიკა. ეს კი ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს.

დღეს სოფლის საკითხი მსოფლიოს საკითხს უკავშირდება. ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე საკვირველებას არ აქვს საზღვარი. ამიტომ, ვიდრე „ესენგეს“ ბედს შევხებოდეთ, მანამ იმის შესახებ, საიდან მოდის ამ გაერთიანების მოჩვენებითი ერთიანობა.

ბავშვმაც იცის, რომ მსოფლიოს ბედს სულ ახლახან განაგებდა ორი სუპერსახელმწიფო — აშშ და სსრკ. ეს იყო ორპოლუსიანი პოლიტიკური მსოფლიო. როგორც ზღვას ჭიქაში ვერ მოაქცევ, ამ საკითხზე სრული მსჯელობის ილუზიას არ ვიქმნი, მხოლოდ პატარა რეპლიკის მაგვარი რამ: რამდენი რამ მართლა არ ვიცოდით. მართლა გვქონდა ყველას იმის ილუზია, რომ ვიღაცებს ადამიანის უფლებები, ადამიანის, ქვეყნის ბედი აწუხებდათ უანგაროდ. გვეგონა, რომ იმ კაპიტალისტებს, ვინც კარგად ცხოვრობენ, ღამე არ სძინავთ დარდით, როდის გავამდიდრებთ, ავაყვავებთ დაქცეულ საბჭოთა საქართველოს... იმდენად მოგვიჭრდა კომუნისტური იდეოლოგიის სიყა-



ღბე, რომ მიღწეული იქნა აბსოლუტურად საწინააღმდეგო ეფექტი. კოკისპირულ წვიმაში, კომუნისტური ტრიბუნადან რომ ეთქვა ვინმეს — კოკისპირულად წვიმსო, ხალხი უცილობლად იფიქრებდა (მაგრამ არ იტყვოდა), მცხუნვარე მზეა უნაღწეული. ამიტომ კაპიტალიზმი, ჩვენი წარმოდგენით, ეს იყო ნეტარი, წმიდა ზნეობის ქვეყანა. „გულახდილად რომ ვთქვათ, კაპიტალიზმი უბრალოდ ამორალურია“ — წერს ნიქსონი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი. ამორალური (უზნეო) უდმერთო ქვეყანა რომ დაიქცევა, ამას არ სჭირდება თეოლოგიის ცოდნა. ამორალურია იმიტომ, რომ თავის გამდიდრებაზე ფიქრობს და არა შენს გამდიდრებაზე. სხვის გამდიდრებაზე, კეთილდღეობაზე მაფიქრალი, ვერც თვით ვერ იქნება მდიდარი.

როგორია აშშ-ს ინტერესი საქართველოსადმი, როგორი ქვეყანა უნდა ჩვენგან რომ შექმნას? ჩემი პასუხი ასეთია: მას სურს ჩვენი ქვეყანა ისეთი, როგორსაც იგი ქმნის ჩვენგან ამ ოთხი წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე ჩვენ მივიღვართ ხელგაწვდილი ამერიკისაკენ. ჩვენ ამერიკის კურსით, თითქმის დაუბრკოლებლად ვატარებთ ამერიკულ კურსს. რაც მივიღეთ, იმასვე მივიღებთ. გეკითხათ პოლიტიკოსებო, ერთი უბრალო ქართველი გლეხისათვის, გეტყვოდათ — „ნუ დაპყრობავ ქველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსა“. წინაპართა სულს მოწყვეტილი ხალხი დაბნეულია, თუ არ დაუბრუნდება მათი ნათელ სულს, იგი განწირულია. ვინც ქართველ ხალხს გასწირავს, ჯოჯოხეთს ჯერ ამქვეყნად გაივლის, მერე იქეთ.

ლი, ესპანელი... ევროპის ყველა ქვეყანას აშშ-ზე მეტი სიღრმის კულტურა და ტრადიციები აქვს. ეს ევროპული, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ქვეყნები, ახალი ცივილიზაციის აკვანი, არ დაკარგავს თავისი ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ-ისტორიულ მშვენიერ ინდივიდუალობას. ევროპა მალე უფრო წავა რუსეთისაკენ, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ. რუსეთი, ჩინეთი, ირანი, ინდოეთი თუ სხვა ქვეყნები აშშ-ს იმპერიის უღელს არ დაიდგამენ ქედზე. ქვეყანა, რომელიც ერთპიროვნულ ბატონობას მოისურვებს მსოფლიოზე, ის რომ განწირულია, ამას წინასწარმეტყველება არ სჭირდება. საბჭოთა იმპერია უნდა დაშლილიყო სუვერენულ ქვეყნებად, ამ მორალურ სურვილს დაეპატრონა ამორალური ძალები, რომლებმაც ზღაპრის ეშმაკით გააბრუნეს ეს ხალხები და დაანგრეს მათი ცხოვრება. ეს ხალხები, ეს ქვეყნები თვითონ უნდა გაძლიერდნენ თავიანთ ბედს. მაგრამ მოხდა ასეთი რამ: ნაკრძალში მგლები გაწყვიტეს, ირმები უფრო მომრავლდებოთ. მოხდა პირიქით, მოდუნდნენ, დაავადდნენ და გაწყდნენ საწყალი ირმები. როცა ორი იმპერია იყო პირისპირ, აშშ-ს მილიარდების წყალობით, მათი პროპაგანდა გაცილებით ჭკვიანი და ცბიერი იყო, — ვიდრე ბრიყვი და გაბრიყვებული კომუნისტებისა. ამიტომ მსოფლიო ფიქრობდა, — რაც ბოროტება გვჭირს, ბოროტების იმპერიიდან მოდიოდა. დაინგრა ბოროტების იმპერია, ბოროტებამ კი იმატა. ცივი ომი ცხელმა ომებმა შეცვალა. მაშ, სადღა ვეძებთ ბოროტების წყარო. ახლა მზე-რა მსოფლიომ მეორე ბოროტების იმპერიისაკენ მიაბრუნა. სულ მალე დაინგრევა ეს იმპერიაც. ყოველი იმპერია ბოროტებაზეა დაფუძნებული. არ უნდა აღორძინდეს არც რუსების იმპერია, არც აშშ-ს იმპერია. ალბათ შეიქმნება ქვეყნების თანამეგობრობათა რეგიონები. სახელმწიფოთა შორის მეგობრობა პირობითი, გადატანილი ცნებაა. მეგობრები პირ-

მეორე გვერდიდან
დაპირი მნიშვნელობით არიან ადამიანები. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნების ინტერესთა დაახლოების, დამეგობრების პროცესში ადამიანურ ფაქტორს, პირად კონტაქტებს, ხიბლს. ქართველებს ამ მხრივ ზურგის ქარი აქვთ. ისეთი მამა-პაპური კომუნიკაბელურობა გვაქვს თავისთავად, მთლად უვარგისი თუ არ ხარ, ქართველი კაცის ხასიათი საგარეო ურთიერთობებში კარგად მოგეხმარება.

ერთხელ, ჩვენი წინა პარლამენტის სხდომაზე, რომელსაც ისე აგინებენ, ავიწყდებათ — ვინ იყო მისი თავმჯდომარე, ვილადამ მწარედ დაჰკვინა სახელმწიფოს მეთაური — მეგობარი არ გყავსო. იმ ხანებში სტუმრად ჩამოსულ ბურგომისტრს გერმანიიდან ბატონ ლაფონტენს საღამოს, ვახშამზე, ასე მივმართე ალავერდიო: ერთმა ენამწარედ დეპუტატმა ბატონ ელუარდს უსაყვედურა, მეგობრები არა გყავსო. ალბათ, ის დეპუტატი გულისხმობდა, რატომ ლუდხანაში არ დადიხართო ჩვენთან. მე ვადღებრძელებ ბატონი ელუარდის მეგობრებს, ბატონებს რეიგანს, ბუშს, შულცს, ბეიკერს, გენშერს, მრავალს... თქვენის თამალობით, ბატონო ოსკარ, მართლაც — და ბევრი მეგობარი ჰყავს ჩვენს პრეზიდენტს, განსაკუთრებით საზღვარგარეთ. ვუსურვებ თავისი ხალხის მეგობრობაც მოეპოვებინოს.

პეტერბურგში, საპარლამენტო ასამბლეაში, მონაწილეობდა „ესენგეს“ ათი ქვეყნის საპარლამენტო დელეგაცია. სულ მუშაობდა რვა კომისია. რვა კომისიიდან ორი წამყვანი კომისიის თავმჯდომარე ჩვენები გახლდათ. იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ბატონი ქართლოს ღარიბაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი რამაზ ხიზანიშვილი.

გარდა ამისა, ორი კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებიც ჩვენი დეპუტატები იყვნენ. ჩემი მეგობარი ლუჩანსკი (მოლდოვეთის პარლამენტის სპიკერი) ხანდახან საჯაროდ მეგობრობდა



ლად წაგვეკვიმატებოდა ხოლმე დაა, это российско-грузинская ассамблея... აქ დამყარდა უაღრესად თბილი მეგობრული კონტაქტები შუა აზიის სახელმწიფოთა, სომხეთის, აზერბაიჯანის და ყველა იქ მყოფი დელეგაციის წევრებს შორის. მეამაყება, რომ ჩვენი დელეგაცია აქ, სახელდობრ, ჩვენი წინაპრების სულს ატარებდა. ბევრი, ბევრი რამ არის დაუვიწყარი, ჩვენთვის და მათთვისაც. როგორც გითხარით, აქ პოლიტიკა უფრო მეტად სხდომების მერე კეთდებოდა. შარშან, 1995 წლის 10 თებერვალს შუმეიკოს 50 წელი შეუსრულდა. 13-ში აღვნიშნეთ სპიკერებმა მისი საღამო. აქ რაღაც დაგეგმილი პროცედურა არ იყო, ყველას ჰქონდა მომზადებული სუვენირები და ადრესები. ყირგიზეთის სპიკერმა შუმეიკოს მოასხა ძვირფასი ხალათი და მალალი რუსული ქუდი. ძალიან მოუხდა. სიცილმხიარულებაა. ვისარგებლე მომენტით. Постойте, Владимир Филиппович, в этом царственном убранстве, в прекрасном облачении у Вас не хватает только одной символики... მოვბრუნდი და მივმართე ვისაც ებარა ქართული ხმალი წარწერით — Давайте мне мой меч! შუმეიკო კახაკია, ხმალ-ხანჯალის სტყვარული სისხლში აქვს. ღამაში სურათი გამოვიდა. სუფრას მივმართე: მე თან მაქვს მისაღმების ადრესი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისაგან, პარლამენტისაგან, პირადად ჩემგან, მაგრამ ამის წაკითხვას

მე ვარჩევ უფრო მსუბუქ შანსს, და ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ ჩემი მეგობრული მიძღვნა. ლექსი ავაგე ასეთ ქარგაზე. ღმერთი ზოგჯერ სახელში გააცხადებს თავის კეთილ ნებას. ფილიპე მაკედონელი ჩასწიწინებდა თავის შვილს — დაიპყარ მსოფლიო („ვლადეი მირომ“) მაგრამ არ დაარქვა „ვლადიმი“, ფილიპე შუმეიკომ კი თავის შვილს დაარქვა ვლადიმირი.

В благославенные имена, Бог вложил свои секреты, Ни с кем не советуяс — издавать свои декреты, Да нашумело имя Филиппа по всему миру, Внушая сыну — владей миром, хотя не нарек его “Владимиром”, Македония частица мира, не то, что княжество Владимира. И нашумело без шума имя Шумейко Владимира, Овладев чуть ли не парламентами полумира, Давайте, поднимем бокалы за пятидесятилетие Владимира.

მე ჩვენს განათლებულ მკითხველს ბოდიშს ვუხდი ამდენი რუსულენოვანი წიადსგლებისათვის. მე რუსული კარგად არ ვიცი, მაგრამ ხანდახან სახუმაროდ ასეთი „ცოდებები“ — ალბათ, დასაშვებია.

გაგრძელება იქნება.



უფალო, როგორ გახდება ისეთი, მაინცდამაინც ასეთი მყრალი კაცი რომ გადაიყარე?

ბაზემი „თვალთაის“ რედაქტორი და მისი თანამშრომელი წაიკიდნენ.

რედაქტორმა გაზეთის ერთ გვერდზე ლანძღა თავისი თანამშრომელი, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ რედაქტორის მამხილებელი მასალა ჩვენს რედაქციაში მოიტანა.

ისეთი ეპითეტებით ჰყავდა შემკობილი თავისი უკვე ყოფილი შეფი, რომ ამ უკანასკნელს ნიაგარა ვერ გარეცხავდა.

არ დაუბუტვდე. მეორე წერილი მოიტანა, რომელშიც „თვალთაის“ დამფუძნებლებზე იყო საუბარი. მოიტანა წესდებაც — ბუჭვლადარტყმული და რედაქტორის მიერ ხელმოწერილი.

დაუბუტვდე. „თვალთაის“ რედაქტორი ამტკიცებს, ის „შინაური“ წესდება იყო და პრეზიდენტის იურიდიული სამსახური დამფუძნებელთა შორის შეცდომით წერიაო.

კეთილი და პატიოსანი, დაუჯეროთ რედაქტორს, მაგრამ უცნაურია, თავისი შეცდომის გამო მე რატომ მლანძღავს, ან ყალბისმქნელი რატომ ვარ?

მერედა როგორ ილანძღება, თავის ყოფილ თანამშრომელზე წერს: „თადლითი კაცუნა“-ო, „ნაკაცარი“-ო და ა.შ.

მე კი გაცეცხლებულ გულზე ქვეყნის დაქცევას, სამშობლოს გამყიდველობას, კომუნისტობას და ქურდობას და რაკიცი, რა უბედურებას აღარ მწამებს. ეს ქვეყანა რომ ჩემი დაქცეულია, სამშობლოს რომ კათხა ლულზე ვყიდი, ჩემივე თავს რომ რაღაცეებს ვპარავ, ეს ხომ ცხადი ამბავია, კომპარტიის წევრი არ ვიყავი, მაგრამ „თვალთაის“ რედაქტორი რაკი წერს, ეტყობა, კომუნისტიც ვარ, ესეც უდავოა...

რატომ ღმერთი არ გაიცინებს, ყოველივე ამას ვისმენ ვინმე რუსო ურუშაძისაგან, რომელიც კომპარტიის წევრიც იყო, მხურვალე „სტალინელიც“ გახლავთ და იმავედროულად „ზვიადისტიც“.

როგორია? „სტალინელი“ და „ზვიადისტი“ ერთდროულად!..

ისეთ სიმყრალესა და სიბუღვილს აფრქვევს ეს კაცი, ძალაუნებურად ფიქრობ, როგორმე მოერიდო ამ სიმყრალეს.

განა შეიძლება კამათი ადამიანებთან, რომელნიც გაზეთებში გაჰკვიდნენ, არიქათ, ქართველები აფხაზებს გენოციდს უწყობენო?!

შეიძლება კამათი ადამიანებთან, რომელნიც აღტაცებულნი უკლიდნენ დავლურს სოხუმის დაცემის გამო, აქაოდა, შევარდნაძე გადადგებო?!

საერთოდ, ზნედაცემული ადამიანები გამოერვეიან ხოლმე საზოგადოებაში, მაგრამ სამშობლოს უბედურებით ხარობდე და თან პატრიოტი ვერქვას? — ეს ჩვენი დროის ტრაგიკომიკური ყოფის დასტური გახლავთ. ამ ურუშაძეს ადრე ტელევიზიაში უმუშავია. კომუნისტების დროში გამსახურდიას გინებით ჰქონია პირი აქაფებული, ახლა „ზვიადიზმის“ პოზიციებიდან ყველას განურჩევლად ლანძღავს, დამნაშავესა თუ უდანაშაულოს.

უფალო, რა ცოდვა მაქვს ისეთი, მაინცდამაინც ასეთი მყრალი კაცი რომ გადაიყარე?

რადა ჩემი კალმით უნდა გამაუბედურებინო ეს ქვეყნის სირცხვილად დაბადებული ინტრიგანი ურუშაძე?

P.S. პიტიხვილს ბოდიშს ვუხდი გაბრაზებულნი ტონის ბაშო, გაბრაზა კაცი რომ გაზეთიდან ქუჩის ქალივით ილანძღება და ისეთ ბრალდებას ბიჟენებს, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძოდი, ძნელია, არ გაბრაზდვი.

ნოდარ ბრიგალაშვილი

გაომხატვარება უ. კიტოვანის წარმადი «მე ახსდით ფარდას ყველა საიდუმლოს»

ქართული

კი. ბატონო! ახსადით ფარდას საიდუმლოს!

გაზეთ „საქართველო“ რედაქტორს, ბატონ ნოდარ ბრიგლაშვილს!

ბატონო ნოდარ! თქვენს გაზეთში გამოვეყენე... კიტოვანის მამის კალისტრატე (იგივე შოთა) კიტოვანის ვიდურობა წერის ტექსტი ერთობ მკვირავია სითაურით... „მე ახსდით ფარდას საიდუმლოს“

სუფილების საკითხი უნდა განხილულიყო, დასწრო და სასწრაფოდ განათავსებული სამსახურიდან ცკ მდივნის ქალიშვილი. ამ იგივემ გამაგრა — ცკ ბიუროს დღის წესრიგიდან დირექტორის დასახის საკითხი მოხსნეს.

საიდუმლოსო! ფარდას ახდის მოსურნეთ ბელი არ უნდა შეუშალო! ვფიქრობთ, თქვენ, როგორც რედაქტორი არ შეგვიშლით ნელს, ალბათ გამოჩენით ობიექტურობას და თქვენივე გაზეთში დაბეჭდვით ჩემს პასუხსაც და არ გამხდით იძულებულს სხვა გაზეთებს მივმართო.

საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელს, ბატონ თეიმურაზ კვიციანიას, გაზეთ „საქართველო“ ყველა მკითხველს!

ბატონო თეიმურაზ, ბატონებო და ქალბატონებო, ჩემთვის ყველაზე ამაღლებული, ყველაზე მაგიური სიტყვა არის საქართველო. ამ სახელწოდების გაზეთი არ შეიძლება იყოს ტენდენციური, არ შეიძლება ჰგავდეს საკუთარ დუქანს, რომელსაც საკუთარი კლიენტები თუ ამფსონები ჰყავს.

უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

მას უხად თენგიზ კიტოვანს

დატირება პირველი შან, ჩემო თავმკვდარო! შენ, ჩემო თავმკვდარო ბატია! ეს რა უბედურება გკითხ შენა და ჩვენს ქვეყანას, ეს რა სიკვდილი და დოზანაა ასეთი, ციხეში რომ ზიხარ, საქართველო კი იძულებულია იკითხოს შენი „ნაზრევი“ და ნაცოდვილარი!

დან ვინმემ რომ არ წამომძახოს — ვისი ტიკი ტომარა ხარო, ვინ გეკითხება — ბალი ათი შაურიანო, თავიდანვე ვაცხადებ: ამ წერილს ვწერ როგორც თავისუფალი, რიგითი ჟურნალისტი!

უდანაშაულო მამა 1995 წლის იანვრიდან მოყოლებული, დღე არ გასულა, რომელიმე გაზეთში თ.კიტოვანთან დაკავშირებული მასალა არ გამოქვეყნებულიყოს. ეს კიდევ არაფერი — თავად თენგიზი ისეთი „მოსხენებებით“ გამოდის, ეკვი გამიჩნდა, მართლა ციხეშია თუ არა და მეორეც, მართლა თვითონ წერს ყველაფერს, თუ „რეჟერენტები“ ეხმარებიან?

ლიყავი“-ო! მოახერხა, მაგრამ როგორ, — ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები. ეტყობა ავტორს უფიქრია, ვინმემ ლაჩობაში არ ჩამოგვართვას კალისტრატეს „მთხერხებულობაო“ და იქვე სასწრაფოდ მიაბაღა და ფრონტიდან გამოქვეყნებული ბევრი ქართველი გადავიჩინე“-ო. ეს „ფრონტიდან გამოქვეყნებული“ ქართველები რა კატეგორიის განგებულებულნი არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი კრიტერიუმებით, ამასევე კალისტრატე რაღა თქმა უნდა, არაფერს ბრძანებს.

შეხვედის მაგიერ ჩინაიდან საქართველოს პროკურატურის პრესცენტრის უფროსი ვარ, პროკურატური-

„ლაპარაკობს თავისუფალი რადიოსადგური შავნაბადა“... შემდგომ თამარ დეკანოზიძე და სხვები შემოგვეშველენ...

კალისტრატე კიტოვანი — ღრმად მოხუცებული კაცი — ზის კამერის წინ და მოხსენებასავით თაბახის ფურცლებზე ჩამოწივიკებულ ტექსტს გვიკითხავს. გვიკითხავს ნელნელა, ბორძიკით და ამკარად ეტყობა — ჩემი ცოდვით სავსე ტექსტის ავტორს ისეთი ხიტყვები

კალისტრატეს (იგივე შოთა კიტოვანი. თ.კ.) ტელე-გამოსვლის ტექსტის ავტორი ძალზედ მოხერხებული ვინმე ყოფილა; ტექსტის შედგენისას ყველა წყაღველა რიგებსა და საეჭვო სიტუაციებს მოხერხებულად არიდებს თავს. მაგ. მიაკციეთ ყურადღება — „1942 წელს მეც გამიწვიეს, მაგრამ მოვახერხე თბილისის იქით არ წავსუ-

ფრანგული პრესიდან

ამეშქრება თუ არა სიკვდილი ქრისტიანობას?

რელიგიათა ისტორიის მკვლევარი ჟან დელიუმო

გვესაუბრება ღრმა რელიგიური კრიზისის მიზეზებზე

„ფიგარო“ — როგორ აფასებთ ქრისტიანობის დღევანდელ კრიზისულ მდგომარეობას?

ჟან დელიუმო — იგი ერთობ სერიოზულია, რამეთუ უპირეცენდენტოა. ამიტომაც აუცილებელი ხდება ახალი „დამცველი საშუალებების“ გამოჩენა. ეს კრიზისი უმაგალითოა, ერთის მხრივ იმის გამო, რომ იმატა აგნოსტიკოსთა რიცხვმა დასავლური ცივილიზაციის წიაღში; მეორეს მხრივ, თუკი აღრე ქრისტიანობას, ისევე, როგორც ისლამს, სახელმწიფოებრივი რელიგიის სტატუსი ჰქონდა, დღეს იგი ბედის ანაბარაა მიტოვებული. საბაზრო ეკონომიკის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე: ჩვენ რელიგიური მძაფრი კონკურენციის რეჟიმში გვიხდება ყოფნა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ბუდიზმის, უფრო მეტად კი ისლამის მოძალბა.

მე კიდევ ერთს დავამატებდი. თავის როლს თამაშობს კომუნიკაციური საშუალებათა და ინფორმაციის გადაცემის სისწრაფის ზრდა. პლანეტის ერთი კუთხე თვალის დახამამებაში უკავშირდება მეორეს. სამყაროს უინფიუკაცია XVI საუკუნის ახალი გეოგრაფიული აღმოჩენებით დაიწყო. ჩვენს საუკუნეში კი ტემპმა იმატა და ადამიანთა მიგრაციაც უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს. ამის შედეგად ხდება უცხო რელიგიების შემოჭრა და ეს გვაძულვებს წინ აღვუდგეთ უამრავ გამოწვევას და საფრთხეს.

„ფიგარო“ — რამ გამოიწვია ეს კრიზისი?

ჟ.დ. — მიზეზი ბევრია. უკვე რამდენიმე საუკუნეა ჩვენი დასავლური ცივილიზაცია ერთობ თავისუფლად ეკიდება რელიგიას და ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო საგრძნობი და აშკარა ხდება. XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ეს მოვლენა სულ უფრო მეტ ძალაში და სიღრმეს იძენს. დღეს ქრისტიანობა აღმოჩნდა ისეთი ცივილიზაციის გარემოცვაში, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება იმ ცივილიზაციისაგან, რომლის წიაღშიც იგი იშვა. ეს ყველა რელიგიის ზეგდება და ყოველი მათგანი იძულებულია შეეგუოს იმას, რისთვისაც სრულიად არ იყო მზად. ქრისტიანობისთვის უფრო ადვილი აღმოჩნდა შეეგუებოდა შავკანიანთა თუ აზიელთა მენტალობას, ვინც ამჟამინდელ ევროპულ ცივილიზაციას. მაგრამ, თუკი ქრისტიანობა არ იყო მზად მიეღო ტექნიკური და მეცნიერულ ცივილიზაცია, კიდევ უფრო მეტად უჭირთ სხვა რელიგიებს.

„ფიგარო“ — რამედი საუკუნეებს განეკუთვნება ქრისტიანობის

ადრეული კრიზისები?

ჟ.დ. — აი, თუნდაც პირველი საუკუნეების მწვალებლობა, შემდეგ ორი დიდი განხეთქილება: 1054 წელს მართლმადიდებლურ სამყაროსთან დაკავშირებით და XVI საუკუნის რეფორმისტული მოძრაობა. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში საქმე გვექონდა თვით რელიგიის წიაღში მიმდინარე პროცესებთან, ე.ი. ნაკუწ-ნაკუწ იგლივებოდა ერთი და იგივე ქსოვილი. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა: „ქრისტიანული ქსოვილი“, კრიზისის გამოისობით, სულ უფრო და უფრო მცირდება. ამიტომაც ვამბობ, რომ სრულიად განსხვავებულ აქამდე უცნობ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

„ფიგარო“ — შეიძლება თუ არა ბრალი დავდოთ მეცნიერებას?

ჟ.დ. — ისტორიული თვალსაზრისით ევროპაში რელიგიისგან ადამიანების დაშორება წინ უსწრებს მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენებს. უფრო მეტიც, კობერნიკი და გალილეი ღრმად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. მე ვფიქრობ საქმე ეხება ქრისტიანობისადმი ნამდვილ აღერებას, რომელიც სულ უფრო ფართოვდება.

„ფიგარო“ — როგორ ახსნით ამ პროცესს, რომელსაც, შეიძლება „განქრისტიანება“ ეწოდოს?

ჟ.დ. — უამრავ მიზეზთა შორის მე გამოყოფიდი იმას, რომელიც ეხება ღმერთის წინააღმდეგობრივი ხატის ადამიანათვის წარმოჩენას: ღმერთი მოწყალეა, მიმტევებელი და ღმერთი მრისხანე, შიშის მომგვრელი. მე ერთერთისგან ვანსხვავებ „ღვთისმოშიშობას“, ჩვეულ და აუცილებელ მოვლენას და „ღვთის შიშს“. სწორედ ამ შიშმა, რომელსაც აძლიერებს ჯოჯოხეთის მუქარა, ბევრი ადამიანი ჩამოაშორა რელიგიას. ფსიქოლოგიურად და სოციოლოგიურადაც, ყოველი რელიგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სიმშვიდე მოუპოვოს ადამიანს, დააწყნაროს და გაამხნევოს იგი. მაგრამ თუკი რელიგია ამ მისიას ვერ ასრულებს, მაშ, რაღას ემსახურება იგი? აქ იმალება სწორედ ძირეული განსხვავება ღვთის სიტყვასა და ღვთის მიწიერ ხატს შორის, რომელსაც ადამიანებს სთავაზობენ.

გარდა ამისა, ადამიანები არც საეკლესიო ხელისუფლებისადმი არიან კეთილგანწყობილი. მე ვფიქრობ, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ მისთვის ახალი ფორმა უნდა მოეძებნოს, რომელიც დაუახლოვდება დღევანდელი ადამიანის წარმოდგენას საერთოდ ხელისუფლებისა და მთავრობის ფორმასა და მოქმედებაზე. ვმომბ, უკმა-

ყოფილების გრძნობა სულ უფრო მეტად იჩენს თავს.

„ფიგარო“ — რა აზრის ბრძანდებით იოანე-პავლე II ავტორიტარულ მმართველობაზე?

ჟ.დ. — იგი ერთობ ჭარბი და ზედმეტად ცენტრალიზებული მეჩვენება. პაპს სამუდამოდ არ უნდა ირჩევდნენ და რომის ეკლესიაშიც ს. აუთარი ამბიციები უნდა მოთაკოს. უნდა მომძღავრდნენ ადგილობრივი ეკლესიები და მათ მოღვაწეობაში უფრო აქტიურად უნდა ეტეოდნენ მორწმუნენი. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას არ ეხება. მსგავსი ვითარებაა შვეიცარიაშიც და ინგლისშიც.

„ფიგარო“ — ქრისტიანობა თანდათანობით შორდება რწმენას და სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სოციალურ საკითხებს. ამავე ხომ არ ითამაშა თავისი როლი კრიზისის გაღრმავებაში?

ჟ.დ. — ბევრმა აღარც იცის, რაში მდგომარეობს ქრისტიანობის ძირითადი დანიშნულება. ეკლესია ყველაფერს გადაწვდა, თვით სექსუალურ ზნეობასაც კი და დაივიწყა „ძირითადი კრედი“, ის, რაც მას ასაზრდოებს. ქრისტიანობა უძვირფასეს სიმდიდრეს ფლობს და იგი გამოიხატება მისი უმთავრესი წანამძღვართ: „ღმერთმა შექმნა ადამიანი“. სხვა რელიგიაში ამ მტკიცებას ვერ შეხვდებით. ავიღოთ, თუნდაც „ფეხების განბანვის“ დიდებული სცენა, რომელზედაც წმინდა იოანე მოგ-

ვიხრებო: მე ღვთისას უკადრისად არ მიიჩნია მტვრიანი ფეხები მობანოს თავის მოწაფებებს. მისი დამოძღვრაც გაიხსენეთ: „იცით რა გიყავით თქვენ? თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს და კარგად ამბობთ, რადგანაც ვარ. ხოლო თუ მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ასევე უნდა ჰბანდეთ ერთმანეთს ფეხებს. ვინაიდან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგვეცით, თქვენც ისევე მოიქცეთ“ (სახარება იოანესი, თ.12-13).


„ფიგარო“ — ესე იგი, ქრისტიანობას სიკვდილი არ უწერია!

ჟ.დ. — რა თქმა უნდა, დღეს ქრისტიანობას ძნელი უამი დაუდგა. ადრე, წესისდა მიხედვით, რწმენა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე, დღეს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა: ახლა წესი იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად შეხვიდე ეკლესიაში ან ტაძარში. ჩვენთან, დასავლეთში, ქრისტიანი ის არის, ვინც რწმენა წინაპრებისგან კი არ მიიღო, არამედ მოგვიანებით უზიარა მას. ამიტომაც, სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ ესოდენ გაიზარდა მოზარდებისა და ასაკოვანი ადამიანების ნათლობათა რიცხვი. რა თქმა უნდა, ჩვენ მომსწრენი ვართ ქრისტიანობის კრიზისისა, მაგრამ ქრისტიანობა კვდება, ამას ვერ ვიტყვი. რელიგიას, რომელსაც ძალუქს აღზარდოს რწმენისთვის თავდადებული მღვდელთმსახურნი, (ავტორს მხედველობაში ჰყავს 7 ფრანგი ბერი, რომლებიც ამ ორი თვის წინ, ალჟირში, ტყვიებით დაცხრილეს მუსლიმმა ფანატიკოსებმა. ამ ტრაგედიამ, იმ დროს, მთელი მსოფლიო შესძრა), გადავარება და გადაშენება არ უწერია. შვიდი ბერის მოწამებრივი სიკვდილი კიდევ ერთი დიდი დასტურია ქრისტიანული რწმენის უძლეველობისა.

„ფიგარო“ — როგორ ფიქრობთ, განწირულია თუ არა ქრისტიანობა?

ჟ.დ. — სრულიადაც არა. თუკი ქრისტიანული მოწოდება სწორედ ისაა, რომელზედაც მაღლა მოგახსენეთ, მაშინ, აშკარაა, რომ მეცნიერული და ტექნიკური ცივილიზაცია არ ეწინააღმდეგება ქრისტიანობას. თუკი არსებობენ აგნოსტიკოსი ან ათეისტი მეცნიერები, მათ გვერდით არიან მორწმუნე მეცნიერებიც, რომელთა რიცხვი არანაკლებ შთამბეჭდავია. ბევრი თვალსაჩინო მეცნიერი, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაუ-


(„ფიგარო“) ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ვაჩიშვილმა



ფიგარო კლავსია

იუმორის გვერდი

წუმესკვებები



**არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.**


ქორქოლიანის წამლები



სანდრო ქორქოლიანს ჯიბეები დღენიადაგ გამოტენილი ჰქონდა აბებით, წვეთებით, სუფრის თუ ჩაის კოვზით მისაღები წამლებით. წამდაუწყებ ხან აბებს იყრიდა პირში, ხან კოვზებს ტლიკავდა, რომ ზედ წამალი არ შერჩენოდა. მუდამ გაციების ეშინოდა. ზაფხულშიც კი, ფანჯარას არავის გააღებინებდა. დაწოლის წინ თავს პირსახოცით შეიკრავდა და შეკვიცილ საბანში ზემოდან, ბალიშზე მჯდომი ჩასრიადლებოდა.

ერთხელ თეატრი მოსკოვში იყო გასტროლებზე. სანდრო სხვებთან ერთად საერთო საცხოვრებელ დარბაზში მოაწყვეს. მაისი იყო და ყველა შეაწყუბა: კარი არ დაგრჩეთ ღიაო, ღამე ფანჯარა არ გააღოთ, ქარი დაუბერავს, გავცივდებითო. ერთ-ერთმა მსახიობმა თავისი საწოლი სანდროს საწოლს მიადგა. მთელი ღამე ფეხიწობდა. როცა სანდროს ჩაეძინა, მსახიობმა თავი მოაბრუნა მისი საწოლისკენ და სულის ბერვა დაუწყო.

აბებნაყლაბი სანდრო ფეხზე წამოიჭრა — ვილაცას ფანჯარა გაუღია, ქარი ქრისო. ამ დროს მსახიობმა ხვრინვა ამოუშვა. როგორც კი სანდრო ჩაიძინებდა, ის ისევ სულს უბერავდა. ასე გააწვავა მთელი ღამე.



ხაშურული რძე

სანდრო და ეს მსახიობი ხაშურში თეატრის გასტროლების დროს ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. სანდრო მერძევეს გაურიგდა, რომ ადუღებულ რძეს, ყო-

ველ დილით, ბოთლით შეუდგამდა ფანჯარაზე.
სანამ სანდროს ეძინა, მისი მეზობელი მოვიდოდა, თავის ბოთლში გადმოასხამდა ამ ადუღებულ რძეს, ცოტას დატოვებდა და შემდეგ აუღულარი წყლით შეუვსებდა.
როცა თეატრში წასვლის დრო მოაწევდა, მეზობელი სანდროს გაუვლიდა. სანდრო ამ დროს რძენარევე წყალს ყლურჭავდა და თან იღმეჭებოდა:
— რა უგემური რძეა, ფერიც რომ მომწვანო აქვს?
მერძევეს რომ შეხვდებოდა, უჯავრდებოდა. ის კი ფიცით ქმარ-შვილს იწყევტდა — თუ წყალნარევი იყოს, საფლავში ჩავდო ოჯახიო. მსახიობი კი სანდროს ამშვიდებდა:
— ბალახია აქ ასეთი, ბალახი!..



ქორქოლიანის მკაღები

სანდრო ქორქოლიანს ძალიან უყვარდა გემრიელად ჭამა. სულ მუდამ თეატრის სასადილოსა და ბუფეტში იყო. ჯიბეებიც გამოტენილი ჰქონდა ხოლმე სხვადასხვა სასუსნავით. რეპეტიციაზე იყო თუ სცენაზე, მაინც პირს აცმაცუნებდა.

ერთმა მსახიობმა ცხვრისა თუ გოჭის კბილი იშოვა, პიერ კობახიძეს ჩააბარა, თხოვა, როგორმე მოახერხე და სანდროს ეს კბილი მჭადის ნატეხში ჩაუტენო.

თეატრის სასადილოში სანდრომ მოტანილი მჭადი მაგიდაზე დატოვა და კერძის მისაღებად გაემართა. პიერმა დრო იხელთა და კბილი მჭადის ნატეხში ჩაუდო. სანდრო ჭამას შეუდგა. უცბად შედგა, სახე ეცვალა. პირიდან ჩუმად ძვლის ნატეხი გამოიღო და დახედა — კბილია. ყბები მოისინჯა. როცა დარწმუნდა რომ მისი კბილი არ იყო, მაშინ სასადილოს გამგეს დაეძგერა. ეს შენიმცხობელის კბილია. ვინ მოგცათ ნება, აქ თქვენი თანამშრომლების კბილები მაყლაპოთო, „ნიანგში“ გაგწერთ, მამაჩემი ნუ წამიწყდებაო!

მოგონებები სანდრო ქორქოლიანზე

რუბრიკის დღეგანდელი ნომრის სტუმარია სანდრო ქორქოლიანის კმისუბილი. იუმორისტი

მ-ნი თინა ქორქოლიანი

ღეზუბიანი მოსე მჭარალი

ერთ დღეს, თეატრის გარდერობში, ერთმა მსახიობმა მოსე მჭერლის წაღებს დეზები მოარგო. ტანსაცმლის მეთვალყურეც დაითანხმა — მას მოსე მჭერლის როლის შემსრულებელი ალექსანდრე ქორქოლიანი უნდა დაერწმუნებინა, რომ ეს წაღები მუდამ დეზებასხმული იყო.

როდესაც ქორქოლიანმა წაღებს დახედა, გაკვირვებით იკითხა:
— ეს რა არის?
— თქვენი წაღები არ არის თუ?
— კი, მოსე მჭერლისაა, მაგრამ ეს დეზები რა ჯანდაბაა?
— დეზები ყოველთვის ეკეთა. გუშინაც რომ გაიხადეთ, დეზებიანი წავიდე.
— არასდროს! — იყვირა ქორქოლიანმა. მაგრამ ახლა იქ მყოფი მსახიობები შეუჩინდნენ — როგორ არ გახსოვს, სულ ეგრე თამაშობდითო.

ამ დროს გასვლის ზარიც დარეკეს და დეზებიანი მოსე მჭერალი სცენისაკენ გაემართა...

სანატორიუმში

ერთხელ სანდრო და მიხეილ სარაული სანატორიუმში გაგზავნეს. სანდრო იმ ოთახში მოათავსეს, რომლის ფანჯრებიც კლდეს გადაჰყურებდა. სარაულმა ვილაცა გაუზავნა — ეცადე, მაგ ოთახიდან გადახვიდე, ნაძარბია, მანდ ღამით ავი სულელები დაბორილობენო. სანდრომ არ შეიმჩნია, მაგრამ ცოტა არ იყოს, შეშინდა. სანატორიუმის მთავარ ექიმს სთხოვა, ამ ოთახიდან გადამიყვანეთ, მზე ადგება, ძილს მიფრთხოვს, თან აქ ისეთი დამსვენებლები არიან, ვერ შევეწყობი, ძალიან ნერვიული ვარ და ვმისობ, უსიამოვნება არ შემემთხვესო.

მთავარი ექიმი დაპირდა, პირველი შემადგებლობისთანავე სხვაგან გადაგიყვანთ, რამოდენიმე დღე კი უნდა მაკალოო.

სანდროს ოთახის ფანჯარას სარაულმა სარაკუნებელი მიამაგრა. თოკი გამოაბა და მისი ბოლო თავის ოთახში, საწოლთან დააბა. დაღამდა, ყველას სძინავს. არ სძინავთ

თავთავის ოთახებში მხოლოდ სანდროს და სარაულს. სანდროს რა დააძინებს, შიშისაგან გული ეღვევა... ფოთლების ყოველ გაშრიალებზე რა ჯანდაბა არ ეჩვენება. ამ დროს სარაულმა თოკი მოჭაჩა და სანდროს ფანჯარაზე კაკუნი გაისმა.

„არა, ეს უკვე აღარ მეჩვენება, ეს ნამდვილად ჭინკებია“... გაიფიქრა სანდრომ, მაგრამ შემფოთებისაგან ვერც გაიძრა.

როცა სარაკუნებელი მეორედ და მესამედ აკაკუნდა, სანდრომ ველარ მოითმინა და ისეთი კვიცილი აღმოხდა, მიშველეთო, რომ ყველანი გაადვიდა, ზეზე წამოცვიდნენ, მეზობელი ოთახებიდანაც კი გამობოდნენ.

ამ დროს სარაულმა თოკი მაგრად მოჭაჩა და სარაკუნებელი მოწყობილობა უფსკრულში გადაუშვა. მერე კი საცვლებისმარა შემოვარდა სანდროს ოთახში და რა ამბავიაო — კითხულობდა.

სანდრო მებოსტნე

სანდრო ქორქოლიანი შესანიშნავი მსახიობი, მაგრამ ცუდი მებოსტნე იყო. მის ნაკვეთზე პამიდორი დამწიფებას აგვიანებდა და ამის გამო ძალიან ნაღვლობდა. მით უფრო, რომ მისი მეგობრები უკვე მწიფე პამიდვრებით ხარობდნენ.

ერთ დღეს, ერთმა მსახიობმა მიიბრინა „მებოსტნესთან“ და ახარა:

— შენი პამიდვრები შეწითლებულა!
სანდრო მაშინვე გაიქცა და ბოსტნიდან ხელსახოცში გამოკრული რამოდენიმე პამიდორი სულმოუთქმელად მოარბენინა. როდესაც ხელსახოცი გახსნა, მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. პამიდორებს ფერი ვადასვლოდათ და ხელსახოცი წითლად შეეღებათ. მსახიობმა სანდროს უთხრა:

— ამდენი როგორ არ იცი, პამიდორს უნდა დააკალო, რომ გამოსული ფერი შემაგრდეს. შენ კი სულწაყუდი ხარ და მაშინვე ეცი. თურმე, წინა დღეს, მას თეატრის სადგურაკო სახელოსნოდან საღებავი წაედო და მებოსტნე-სანდროს პამიდორები წითლად შეეღება.



